ხუთშაბათი, 16 სეკდემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 16 სეკდემბერი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 213 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 213

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

**ქვრივი ოლღა იოსების ასული შვილებითურთ და ზაქარია, იოანნე, დავით და ალექსი ალექსის ძენი დავითიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქალაქ ბაქოს უეცრად გარდაიცვალა

**მღვდელი სერგეი ალექსის ძე დავითიშვილი.**

მიცვალებულის გვამი მოსვენებულ იქმნება ტფილისის სადგურზე დღეს, 16 სეკდემბერს, დილის 7 საათზე; იქ მცირე პანაშვიდს გადუხდიან და წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიაში, სადაც, წირვის შემდეგ, ანდერძს აუგებენ და აქვე დაკრძალვენ.

---

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

---

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე, ქალაქში . . . . 2 „ 25 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . 15 კაპ.
რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . 20 ,,
რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . 10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . 10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . 7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—34).

მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

---

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20. (30—9).

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

---

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

**დასაწყისი სეზონისა.**

პარასკევს, 17 სეკდემბერს

I

გლინკას ასის წლის დაბადების დღის შესრულების გამო წარმოდგენის წინად არტისტები, ხორო და ორკესტრი შეასრულებს გლინკას «დიდებას».

II

## ცხოვრება მეფისათვის

ოპერა 4 მოქმედ. მუსიკა გლინკასი.

**მონაწილეობენ:** ქ.ქ. ანტონოვისა, შიხუტსკაია, ბ.ბ. დონსკოი, მალეცკი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟოვანი**, პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

კაპელმეისტერი ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

---

შაბათს, 18 სეკდემბერს

წარმოდგენ. იქმნება

## ფაუსტი

მუსიკა გუნოსი.

---

კვირას, 19 სეკდემბერს

წარმოდგენ. იქმნება

## აიდა

მუსიკა ვერდისა.

მზადდება პირველად ტფილისში «**ნერონი**», მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

გამგე ი. კელლერი.

---

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ კვირას, 19 სეკდემბერს, დილის 11 საათზედ, ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია

საზოგადოების წევრთა

## წლიური კრება

**განსახილველი საგნები:**

1) განხილვა და დამტკიცება წარსულის წლის ანგარიშისა.

2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3) არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა და სამის კანდიდატისა.

4) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.

5) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

მსურველთ შეუძლიანთ დაბეჭდილი ანგარიშები მიიღონ ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში, ადმინისტრატორის დავ. ნახუცრიშვილისაგან. (3—1).

---

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

---

## სააგარაკო ადგილი.

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაკრებად: 100, 200, 300 საჟენობით. საჟენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიჰმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

---

მისაღები ეგზამენები

ტფილისის საგლოსნო

## სკოლაში

დანიშნულია 25—29 ენკენისთვემდე. (2—2).

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ჯ. მ. ჩიძოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**მ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, 9½—10½ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

**მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა 12½—1½ საათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელნიკოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონელების ულონობა.—ლიაოიანის ომის გამო.—მუკდენთან—შუამავალნი.—წვრილი ცნობები.

გაზეთი „რუსი“ ამბობს, არ უნდა ვენდოთ მითქმა-მოთქმას, ვითომც იაპონელები სუსტნი არიანო.

თუ რომ კრიტიკულად განვსჯით იმ ცნობებს, რომელიც იაპონიიდგან მოდის,—მაგალითად, იმ ამბავს, ვითომც იაპონელების ჯარის გასაძლიერებლად და შესავსებლად ომის ველზე ბავშვებსა და მოხუცებსაც გზავნიან,—მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ ეს ხმები სულ ტყუილია.

საფრანგეთს ომის დროს გამოჰყავს ბრძოლის ველზე 2,500,000 მეომარი, როდესაც ყოველ წელს სამხედრო ბეგარაზედ იწვევენ მხოლოდ 300,000 ახალგაზდას; იაპონიაში კი ყოველ წელს 450,000 ახალგაზდა გაჰყავთ. მაშ როგორ მოხდა, რომ იაპონიამ 500,000 მეომარი გადაიყვანა მანჯურიაში და ვითომც სრულებით მოესპო საშვალება თავის ლაშქრის შევსებისა, თუ არ ბავშვებითა და ბერიკაცებით? ეს, რასაკვირველია, ტყუილი უნდა იყოს, როგორც ის ამბავი, ვითომც იაპონიაში აღარც აფიცერი დარჩა და არც უნტერ-აფიცერი, რომ ახლად სამხედრო ბეგარაზე გაწვეული ახალგაზდები ავარჯიშოს და გაწვრთნას.

ან რად უნდა დაცემულიყო იაპონელი ერი და რად უნდა დაეკარგა ნდობა მარშალ ოიამასადმი? განა აქამომდე ცოტად გაიმარჯვეს იაპონელებმა?

ნათლად სჩანს, რომ ამისთანა ამბები ფანტაზიის ნაყოფია და ჩვენი იმედი ტყუილ მითქმა-მოთქმას არ უნდა დავამყაროთ.

—

აქამომდე გამოცხადებული არ არის, რავდენი ჯარის კაცი დაჰკარგა რუსის ლაშქარმა ლიაოიანის ომში აგვისტოს 13-დგან 16-მდე. დაახლოვებით 16,000 მეომარი უნდა იყოს მოკლული თუ დაჭრილი. ამის ცნობები ნაწილ-ნაწილად «რუს. ინვალიდში» იბეჭდება. ამ ცნობე

ბიდგან სჩანს, რომ არტილერია ისე არ დაზიანებულა, როგორც ქვეითი ჯარი. წინად ტიურენჩენთან და ვაფანგოუსთან არტილერია შედარებით ქვეით ჯარზე მეტად დაშავდა. მერე არტილერიას თანდათან ნაკლები ზიანი ეძლეოდა და დაშიცაოსთან ხომ სულ ცოტად დაშავდა.

ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ არტილერია უფრო გაძლიერდა და თვით არტილერისტებიც უფრო დახელოვდნენ მაინც და მაინც, კორესპონდენტების ცნობებს რომ დავემყაროთ, იაპონელებს მეტი ზარბაზნები აქვთ, ვიდრე ჩვენებს. (ნ. ვ.).

—

«კელნის გაზეთსა» სწერენ პეტერბურგიდგან, პორტ-არტურიდგან მოსული აფიცერი გაოცებულია, საიდგან იციან კორესპონდენტებმა, რავდენ ხანს შეუძლიან პორტ-არტურის ჯარს ციხე შეიმაგროსო? სამხედრო მასალის რაოდენობა მხოლოდ სტესსელმა და სმირნოვმა იციან და სხვას არავის ატყობინებენ, მაშასადამე, სულ ტყუილი უნდა იყოს, რასაც სხვები იუწყებიანო. (რუს.

—

«დეილი ტელეგრაფი» იუწყება, ვლადივოსტოკისა და პორტ-არტურის ესკადრებს ნაბძანები აქვთ, მტერთან რომ შეტაკება მოუხდეთ, არა მსხვერპლს არ მოერიდონ და ყოველი ღონისძიება იხმარონ, რომ მტრის გემები დააზიანონ. იაპონელებს აღარ შეუძლიათ სამხედრო გემები იშოვნონ და, ორი-სამი დიდი გემი რომ დაუზიანდეთ, მაშინ შესაძლოა სულ სხვა ნაირად დატრიალდეს საქმე. (რ. ვ.).

—

«ჰავასის სააგენტო» იუწყება, მუკდენთან დიდი ძალა გროვდება და დიდი ომი აუცილებლად მოხდებაო. იაპონელები აღმოსავლეთიდგან და დავლეთიდგან მიიწევენ. შენიშნულია, რომ ახალგაზრდა ჩინელები, რამლებსაც იარაღის ტარება შეუძლიანთ რაღაც გაუგებარ მიზეზით მუკდენის მიდამოებიდგან აღმოსავლეთისკენ იპარებიანო. ჩინელი მოხელეები, რომლებიც ასე თუ ისე რუსებს ემხრობოდნენ, მუკდენიდგან გარბიან. ესეც იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ იაპონელები სწორედ აქ ეცდებიან ცხარედ შეებრძოლონ რუსებს. იაპონელები თავის ხერხს არ ივიწყებენ: მოწინავე რაზმებსა ჰგზავნიან, რომ რუსებს ებრძოლონ, ვითომც თან დიდი ჯარი მიჰყვება, ის კი არა თუ ამავე დროს ამათი ლაშქარი სულ სხვა მხარეს მიდის, რომ რუსის ჯარს უკანიდგან მოუაროსო. (რ. ვ.).

—

უცხოეთის გაზეთებმა მოუხშირეს ლაპარაკი ზავის შესახებ. ფრანგული გაზეთი «აქციონი» ენერგიულად ამტკიცებს, ომი მალე უნდა მოისპოსო, და საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს ავალებს, საჩქაროდ მოელაპარაკოს რუსეთს, რომ მანჯურია ჩინეთს დაეთმოსო.

საფრანგეთს უფლებაცა აქვს და მოვალეობაც, რომ უსმინონ მის გონების ხმას და შეიგნონ, რას თხოულობს მისი თავმოყვარეობა და ინტერესი. საფრანგეთს მოურიდებლად შეუძლიან იკისროს შუამდგომლობა და მით მთელ გან-თლებულ კაცობრიობის პატივისცემა დაიმსახუროს. რუსეთმა გამოაცხადა, არავის შუამავლობას არ შევიწყნარებთო. კარგი! მაშ საფრანგეთმა რუსეთი და ჩინეთი შეათანხმოს. ამ შემთხვევაში მოლაპარაკებას საკეთილო შედეგი ექმნება. ზავის დრო მოახლოვებულია.

გაზეთ „ავრორში“ კი კლემანსო ამტკიცებს, მოლაპარაკების დრო ჯერ არ დამდგარაო.

ვინც ეხლა გაბედავს და იკისრებს შუამავლობას, ის ნდობას დაჰკარგავს და პირიქით მტრობას გამოიწვევსო. ევროპიელების შუამავლობას და საქმეში ჩარევას ბევრჯელ ცუდი შედეგი ჰქონია იმათთვის, ვინც ამ ბადეში ეხვეოდა. ბერლინში რუსეთი ისმენდა ევროპიელების მსჯელობას და თავდაჭერით შეჰყურებდა, ხელიდგან რომ აცლიდნენ ოსმალეთზე გამარჯვების ნაყოფს. აქამომდე ეს ამბავი დავიწყებული არ ექმნება. განა ევროპის ბრალი არ არის, რომ იაპონიას წაართვეს და რუსეთს გადასცეს ის ნაწილი ჩინეთისა, რომელიც იაპონიამ იარაღით დაიპყრა!? იაპონიას, რასაკვრელია, არ დავიწყებია ეს ამბავი და ეხლანდელი ომიც სწორედ ევროპის საქციელის შედეგია. როგორ დასთანხმდებიან ან რუსეთი და ან იაპონი,ა რომ ევროპიელები გაერიონ მათს საქმეში, როდესაც მორიგების მაგიერ შუამავალნი უკმაყოფილებას უფრო გაამწვავებენ. საფრანგეთი, როგორც რუსეთის მოკავშირე და ინგლისი—იაპონიისა, მხოლოდ მაშინ იკისრებენ შუამავლობას, თუ რომ თვით ეს მებრძოლნი სთხოვენ და დაავალებენ. მაგრამ ამის სურვილი ჯერ არც ერთს მხარეს არ გაუმჟღავნებია.

კლემანსონს ჰგონია, რომ შუამავლობას არც გერმანია იკისრებს და არც აჰაგის სამედიატორო სასამართლო (რ. ვ.).

—

იაპონური გაზეთები იუწყებიან, ვითომც მორიგებაზე ლაპარაკი თანდათან გახშირდა, რადგან უკვე გამოირკვა, რომ იაპონია უთუოდ გაიმარჯვებსო. გაზეთებსა ჰგონიათ, ვითომც თვით რუსებიც მოწადინებულნი არიან, მშვიდობიანობა მალე დამყარდესო. (პ. ვ.).

## ტფილისი

—

12 სეკდემბერს ტფილისს დაბრუნდა პეტერბურგიდგან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი გ. რ. ზავადსკი.

*** 11 სა და 12 სეკდემბერს ბაქოში ხოლერის მჴრით საეჭვო ავადმყოფობით ავად გამხდარა 31 კაცი, აქედგან გარდაცვლილა 17 კაცი. ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევით არაა დამტკიცებული, რომ ეს ავადმყოფობა ხოლერაა.

*** როგორც «კავკაზს» ატყობინებენ, მამა სერგი დავითიშვილს გარდა, რომელიც სასიკვდილოდ დასჭრა რკინის გზის ეკლესიის დარაჯმა ბაიადინმა და რომელიც უკვე გარდაიცვალა, მძიმედ დაუჭრია მკერდში აგრეთვე რკინის გზის მე-XII ნაწილის სამსახურში მყოფი ივანე ვიკულოვი, რომელიც მამა სერგი დავითიშვილს ახლდა იმ დროს თან. ამ საღამოს თურმე მამა დავითიშვილი ჯვრის დასაწერად იყო მიწვეული და ვიკულოვიც ამ შემთხვევის გამო ახლდა მღვდელს. დამნაშავე შეიპყრეს ჟანდარმებმა და გადასცეს ადგილობრივს პოლიციას. ჰფიქრობენ, რომ მკვლელი ბაიადანი სულით ავადმყოფია.

*** გუშინ, 15 სეკდემბერს, სწავლა დაიწყო ტფ. დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში.

*** 20 სეკდემბერს კისლოვოდსკში მოელიან სახელმწიფო ქონებათა და მიწად-მოქმედების მინისტრს, სტატს-სეკრეტარს ა. ს. ერმოლოვს.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსისათვის ახალის შენობის აგება გადაიდვა განუსაზღვრელ დროისათვის, რადგანაც, ომიანობისა გამო, საკმაო თანხა არა აქვთ.

*** კვირას, 12 სეკდემბერს, კრება ჰქონდათ დურგალთა ამხანაგობის წევრთ. კრებამ გამგეობის წევრებად ამოირჩია ბ-ნნი თოიძე, ს. ბერძნიშვილი და გიგაური.

*** ის ხმები, ვითომ ფინანსთა სამინისტროს უწყებაში მყოფი სამოსწავლო დაწესებულებანი საერო განათლების სამინისტროს უწყებაში გადადისო, როგორც გაზეთები იუწყებიან, სიმართლეს მოკლებულია.

*** გომბორის ქედზედ, სადაც ამ ჟამად ნავთის აღმოსაჩენად მიწასა სთხრიან, 109 საჟენის სიღრმეზედ ნავთი უკვე აღმოჩნდა.

*** ბაქოს ქალაქის მოურავად ნამყოფს, როგორც გაზეთები სარწმუნოდ იუწყებიან, შეუდგენია „Записки городского головы“, რომელიც დაიბეჭდება ჟურნალ „Образованіе“-ს სეკდემბრის ნომერში, ამ წერილებში ბევრი საყურადღებო შენიშვნა იქნება თურმე მოქცეული.

*** 20 სეკდემბერს ტფილისიდგან ბაქოს მიდის კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს სესსია, რომელსაც სხვა და სხვა საქმეთა განსახილველად სხდომა ექმნება 22, 24-სა და 27 სეკდემბერს.

*** ამიერ-კასპიის ოლქის სათანადო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ასხაბადში აღარ გაჰგზავნონ ტუსაღები.

*** ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ხორცის დუქნების ადმინისტრაციას, დაგვიბრუნეთ ის 25,000 მანათი, რომელიც ხსენებულმა ადმინისტრაციამ სესხის სახით აიღო ქალაქის გამგეობისაგან ხორცის დუქნების თანხათა გასაძლიერებლადაო.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიამ აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რადგანაც ფოთის ციხის ტუსაღებს შორის ყვანა მოისპო, ხელახლა შეიძლება ციხეში ტუსაღების ეტაპით გზავნა და შესაფერი განკარგულება მოახდინეთ ამის შესახებაო.

*** გორის მაზრის უფროსს დაუთვალიერებია 9 სეკდემბერს სად. მიხაილოვი (ხაშური) და ანტისანიტარულს მდგომარეობაში უნახავს. ამიტომ ბ-ნი მაზრის უფროსი სთხოვს ტფ. გუბერნატორს, განკარგულება მოახდინეთ, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ ქუჩების დაწმენდა-დასუფთავებასაო.

*** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი: «ნაწერები სერგეი მესხისა», გამოცემა სამსონ ფირცხალავასი, 1-ლი ტომი. წიგნი შეიცავს 533 გვერდს, დართული აქვს ავტორის სურათი და ავტოგრაფი, და ღირს ერთ მანათად.

## საქართველოს ამბები

—

**რიონ-გალმის კუთხე.** სამშაბათს შვიდ ამ თვეს, სს. შუამთას და ტობანიერში ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა ორი ბავშვი და ორი კაცი. ერთი ბავშვი და ერთი კაცი ძლიერ დაკბენილია და მეორე დღესვე გაგზავნეს ტფილისის პასტერის ასაცრელ სადგურში, დანარჩენებს სახლში ექიმობენ.

ექვს სეკდემბერს ვახშმობასას, სოფ. ჰყუშურში ეკლესიის ფულების მომკრებს ფ. კიბაბიძეს შეუვარდნენ სახლში ავაზაკები და წაართვეს 180 მანეთი. იმ ღამესვე დაედევნა პოლიცია ბოროტ-მოქმედებს, რომელთაც ევლოთ სულ ყანებში და კვალი მიადგა მეორე სოფელში ერთ სახლს. პოლიციამ ეჭვი მიიტანა ამ სახლში მცხოვრებზედ და დააპატიმრა, გამოძიება სწარმოებს.

«ივერიის» მკითხველებს მოეხსენებათ, რომ პირველ სეკდემბერს გაძარცვეს ტობანიერში მომავალი ეტლი. ახლა, როგორც თან და თან ირკვევა, საქმე ასე ყოფილა: რადგან წელს ივლის-აგვისტოში მუხაყრუის და ტობანიერის საზოგადოებაში საქონლის ჭირი მძვინვარებდა და 300 სულამდე საქონელი დაახოცინეს ბეითლებმა, ამისათვის უნდა მოეტანათ ფული და დაერიგებინათ დაზარალებულ საქონლის მეპატრონეთათვას. ეს გარემოება ჰქონიათ აზრად ბოროტ-განზრახველთ და დაუხვდნენ დილიჟანსს, მაგრამ, რადგანაც ბეითლები აღარ აღმოჩნდენ, ვინც მოხვდათ ხელში, ისინი გაძარცვეს. სამტრედიის ბოქაულმა ამის გამო რამდენიმე საეჭვო კაცი დააპატიმრა. როგორც უბნობენ, ერთი მოგზაური, რომელიც დილიჟნის სახურავიდან გადახტა და გაიქცა სიმინდებში, გადარჩენილა გაუძარცვავი, რადგანაც მალე მიმალულა ყანებში.

მოსავალს ამ კუთხეში კარგი პირი უჩანს; ყველას იმედი აქვს, რომ სიმინდი შარშანდელზე მეტი მოუვა. ღვინის მოსავალიც კარგ იმედს იძლევა. ძველი სიმინდი აღარ არის; თუ სადმე იყო, იქაც პეპლად გამოვიდა. აგერ-ეგერ შეუდგნენ ახალ სიმინდის ხმობას და ფქვას, ძლიერ გახშირდა ზოგიერთ სოფლებში სიმინდის ტაროს ქურდობა. ღამე ორასსამას ტაროს მოსტეხენ და მიაქვთ სახლში.

გზები აქეთ დღემდე უყურადღებოდ იყო ჩვენის მამასახლისების მიერ. ამ ბოლო დროს კი შეაფაცურა მაზრის ადმინისტრაციამ და ქუთაისის გუბერნატორის მოლოდინმა, რომელიც ამ თვეში აპირებს მოსვლას ჩვენს კუთხეში. მადლობის ღირსია დვალიშვილების საზოგადოების მამასახლისი, რომელიც მისით მიხვდა და ადრიანად შეუდგა გზების შეკეთებას თავის საზოგადოებაში.

აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში ვანის საზოგადოების ს. ისრითში მცხოვრებმა ლორთქიფანიძემ წალაპარაკების დროს კეტი დაჰკრა თავში ა. ბაღდავაძეს, რომელიც მეოთხე დღესვე გარდაიცვალა მაზრის ექიმი და გამომძიებელი მოვიდნენ, ოქმი შეადგინეს და დამნაშავე დაპატიმრებულ იქმნა.

დღესასწაულებმა მარიობა-დიდექობა—ღვთისმშობლობამ აქედ მშვიდობიანად ჩაიარა. სტუმრებიც შედარებით წასულ წლებთან ბლომად იყვნენ.

ტობანიერის ორკლასიან სამინისტრო სასწავლებელში წელს იყო 30 ადგილი, მთხოვნელთა რიცხვი კი 50. სწავლა დაიწყო 6 სეკდემბერს სავედრებელ პარაკლისის გადახდის შემდეგ. ამ ჟამად ყველა განყოფილებაში ითვლება 220 მოსწავლე.

ვლად. ბზვანელი.

## რუსეთი

—

(ქართველნი მოწაფენი ორიოლის სემინარიაში.)

ქუთაისში სემინარიის გაუქმების შემდეგ რუსეთის სემინარიებს მოაწყდა ქართველობა. მობრძანებისათანავე ახალ ეპარქიაში ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა კირიონმა წინადადება მისცა სემინარიის მთავრობას, ხელ მეორედ გადაეშინჯათ საქმე მისაღებ ეგზამენებისა. თანახმად განსვენებულ ირინეი ეპისკოპოსის აზრისა, სემინარიაში შესასვლელად სამ საგანში იყო დანიშნული გამოცდა სასულიერო სასწავლებლების კურს-დასრულებულთათვის. ყოვლად სამღვდელო კირიონმა სცნო შესაძლებლად სემინარიაში მისაღები ეგზამენები გაეუქმებინა; ამ ნაირად მარიამობისთვის მიწურულებში უეგზამენოდ მიიღეს სემინარიაში ის კურსდამთავრებულ სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი, რომელნიც საიმედოთ იყვნენ ცნობილნი თავიანთ მთავრობისაგან. ამ ნაირად ახალ სამოსწავლო წელს იმატა შეგირდების რიცხვმა და ყოვლად სამღვდელო კირიონის ლოცვა-კურთხევით დაარსდა მეორე პარალელი კლასი

---

## ფელეტონი

—

### მეზობლები.

დრამა ოთხ მოქმედებად.

### მოქმედება მეოთხე.

(შემდეგი *)

(სცენა წარმოადგენს გაშლილსა და ამწვანებულ ეზოს თავადისას. ახალი შებინდებაა. მთვარე ეს ეს არის ამოცურდა და უხვად მოჰფინა სინათლე არე-მარეს. ფარდის ახდისას ეზოში სრული მყუდროება სუფევს. ამ მყუდროებას არღვევს დრო-გამოშვებით ჭოტის შემზარავი ხმა, კამკამას ყრუ შუილი. უეცრივ მოისმის შორს სადღაც გლეხის მწყესარე ოროველა. ზემო სართული განათებულია. პატარა პაუზისშემდეგ კაიდება შუაკარები და გამოდიანზალიდგან აივანზედ კნეინა კატო და ლუარსაბი.)

ლუარს. ვიშ, რა საზლაპრო საღამოა! რა გვინდა სახლში, განა ამ დროს სახლში ჯდომა დანაშაული არ არის?

კატო. (აცვია სადამური თხელი ფარჩის კაბა). გაიხედე იქით, ახლოს ხომ არსადა სჩანს?

ლუარს. არსად.

კატო. რას უნდა მივაწერო მისი არა ჩვეულებრივი შეგვიანება. ჩავიდეთ ძირს. (ჩადიან).

ლუარს. კატო, ნუთუ ვერავითარ ცვლილებას ვერ ამჩნევ შენს ქმარს?

კატო. მაგდენად არაფერს, მაგრამ საინტერესოა ვიცოდე, რა ცვლილებაზე ლაპარაკობ, და ან რა დროდგან უნდა დაწყებულიყო ის ცვლილება!

ლუარს. გუშინდელს აქეთ, ე. ი. მას შემდეგ, რაც ნაჟამურის ტარიელმა თქვენი ნესტან დარეჯანი გაანთავისუფლა ქაჯეთის ციხიდგან. განა გინახავს შენ ირაკლი როდისმე ასეთ მდგომარეობაში?

კატო. ოჰ, ლუა, ნეტავი ეგ გადაჭარბება არ გიყვარდეს ყველაფერში.

ლუარს. კატო ნუ მომიკვდება, მართალს ვამბობ. რაღაც ამბავია მის თავს და გაფრთხილებ, ღონისძიების მიღებაა საჭირო.

კატო. ეგ სულ შენი გაზვიადებულის ფანტაზიის ნაყოფია. დამშვიდდი, ჩემდა საზიანოდ არც ახლა და არც კვლავ მის თავს არა მოხდება-რა, თუ კნეინა ეკატერინე ცოცხალია.

ლუასრ. სჩანს არც ერთხელ არ დაჰკვირებიხარ მაგის ხასიათს.

კატო. დავაკვირდი და რომ შიგ არა ეყარარა ხელ საყრელი, მეც მივანებე თავი; ასე რომ ეხლა ის ჩემთვის არაფერს არ წარმოადგენს.

ლუარს. ოხ, კატია, ты все же не хочешь меня понягь.

კატო. ყმაწვილო, რა მოგდის. შესწყვიტე უმნიშვნელო საგანზე ლაპარაკი თორემ მეგონება იმან შეაშინა-მეთქი, ხომ იცი ლაჩრები როგორ მეჯავრებიან.

ლუარს. მაგით რა გინდა სთქვა?

კატო. ის მინდა, რომ ჩემი მიჯნური სულით გმირი და მოქმედებით რაინდი უნდა იყოს.

ლუარს. ლაჩრობას ვერ დამწამებ... მაგრამ იმასაც-კი გეტყვი, რომ ოტელლოთ გარდაქცევა ყველა გლახაკს შეუძლიან და მით უმეტეს ირაკლისაგან ხომ მოსალოდნელია ყოველივე.

კატო. ხა, ხა, ხა! (საზიზღარი ირონიით) ჩემთან ეჭვიანობა არც ჩემ ქმარს გამოადგება და არც ჩემ საყვარელს. არა, ჩემო კარგო, ჩემი ირაკლი ჩემ გემოზედ მყავს აღზრდილი და ძლიერ სასტიკადაც. მისი განებივრებისთვის არც დრო მქონდა, არც სურვილი, მაგ გვარ სინაზეს არ არის ჩვეული მათი ბრწყინვალება. (კიდევ ხაიხითხითებს).

ლუარს. (მხრებს შეიშმუშნის).

კატო. (მიუახლოვდება და უზრდელად ტუჩებს მიუშვერს).

ლუარს. (უკან დაიხევს). კატო, თუ შენი ლუა კიდევ გიყვარს, მაგ ახირებას თავი დაანებე. შენი გაბედულობა წრეს გადასულია. ხვევნა-კოცნა და ალერსი ბნელ კუნჭულებშიაც გვეყოფა.

კატო. (ისევ იმ პოზით დგას, არც კი შეინძრევა). მაკოცე მეთქი, გიბრძანებ!

ლუარს. კარგი, ბატონო, მაგრამ რა საჭიროა ეგ ახირება?!

კატო. ძლიერ საჭიროა.

ლუარს. არ მესმის სწორედ!

კატო. მინდა დაგიმტკიცო, რომ შენზედ ღონიერი ვარ, თავისუფალ, ფრთა გაშლილ სიყვარულის მოტრფიალე.

ლუარს. ოჰ, რახან აგრეა, არც მე ჩამოგრჩები, თუნდ იარაღიც კი ამალებინონ ხელში (მაგრად აკოცებს).

კატო. ჩემო მტანჯველო, ხომ არ მოგძულდი? ხომ მართლა არ შეგიყვარდა ისა? ხომ არ ნანობ, რომ სხვამ წაგართვა?

ლუარს. ნუ სცოდებ ღმერთს, ნუ, ჩემი ისევ მე დამრჩა: მე რომ შენი მული მყვარებოდა, ვაგეპარებოდი მაშინვე, როცა წყეული მენაბდიშვილი გამარჯვებული გაგვშორდა. ღმერთო ჩემო! რეები ვნახე გუშინ, რეები!? როგორ გაბედა აქ მოსვლა, როგორ გაბედა იმდენ კეთილშობილ საზოგადოების მიწასთან გასწორება, მაგრამ ყველაზედ უფრო მე ირაკლის დამუნჯება მაკვირვებს. რაც უფრო ძლიერად უტყლაშუნებდა სიტყვიერ მათრახს, მით უფრო იფანტებოდა,

კატო.. და ამას შემდეგ შენ კიდევ მარწმუნებ, ის კაცია და ოტელლოთ გარდაქცევის უნარი აქვსო? ხა ხა ხა! ის რომ არ ყოფილიყო, მენაბდიშვილი აქედგან ცოცხალი ვერ გავიდოდა. მაგრამ, მოიცა, სიტყვა ბანზე ნუ შეაგდე... შენ რა სთქვი ეგა, გაიპარებოდიო? განა ეგენიც იცი? სად დამემალებოდი, რომ ვერ მენახე, თუ იცი?

ლუარს. ყველგან... ქვეყანა დიდია.

კატო. ჩემი შენდამი სიყვარული ქვეყანაზე ფართოა, ცაზე მაღალია და ქვესკნელზე ულრმესი. გაიპარებოდი!... ჰმ, შენ სიკვდილამდე ჩემი კუთვნილება ხარ და, შენი თქმისა არ იყოს, თუ მართლა აბუზღუნდა ჩემი მეუღლე, იმასაც მალე ავბარგავ, საცა ჯერ არს.

ლუარს. მჯერა, და ათასჯერ მჯერა, რომ შენთან ხუმრობა თვით სატანასაც ძვირად დაუჯდება. (საათს დახედავს) აგერ ცხრის ჩარექია, დროა ფონ-ბილლერთან ავისეირნო,

კატო. რისთვის?

ლუარს. მთხოვა, ჯვრის წერას დაესწროთო.

კატო. ჩქარა დაბრუნდი. გესმის, ჩქარა დაბრუნდი.

ლუარს. უსათუოდ, უსათუოდ, ჩემო სიცოცხლევ, უსათუოდ. მაშ ასე, შენ შენ ირაკლის დაამშვიდებ, შენებურად გაუფანტე, თუ რამ ეჭვები აღძვრია, ბიჭებს უბრძანებ დილით ადრე, განთიადისას ეტლი მოგვართვან და მზის

*) იხ. ივერ. № 211.

პირველ კლასთან და ეხლა სემენარიაში არის სამი პირველი კლასი. მოწაფეთა რიცხვი ავიდა 500 შეგირდამდე.

აქაურ სემენარიაში შესასვლელად 11 მოწაფე მოვიდა საქართველოდგან. ამათში მარტო 4 მოწაფეა სასულიერო წოდებისა და ეს გარემოება ძალიან აბრკოლებდა მათ მიღების საქმეს, რადგან საერო წოდების მოწაფეთათვის მხოლოდ ათი პროცენტია დანიშნული მისაღებად, მაგრამ სიძნელე იძლია და ხუთია მიღებული, დანარჩენებს ჯერ გამოცდა არ გასთავებიათ. ტფილისის სემენარიის ერთი სტუდენტი ონიაშვილი თხოულობდა ლათინურ ენაში ეგზემენის დაჭერას, რადგანაც უამისოდ არ მიიღებდნენ უნივერსიტეტში. როგორც იყო, საქმე გაუჩარხდა, ეგზამენი დაიჭირა და მხიარულად გაემგზავრა იურიევის უნივერსიტეტში შესასვლელად.

მღვდელ-მონაზონი ტარასი.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სუვორინი სწერს „ნოვ. ვრ.“-ში:

ბევრი შეცთომა მოგვივიდა დღევანდელ ომის დროს ზღვაზედაც და ხმელეთზედაც, ძაგრამ მაინც იმედი არ უნდა დავკარგოთ, სასოება არ უნდა წარვიკვეთოთ; ხოლო დაჩოქება იაპონელთა წინაშე ისეთი სირცხვილი იქნება, რომელსაც რუსეთი ვერ აიტანს. სახელის გატეხის, თავლაფდასხმის ატანა შეუძლებელია; რაც უნდა სთქვას თ-დმა შემჩერსკიმ ზავის ჩამოგდებაზედ, მაინც ეგ შეუძლებელია. მაგ სირცხვილს რუსეთი ვერ აიტანს. ჯერ არ დავღუპულვართ. არავის უფლება არა აქვს ასე იფიქროს. ნუ დავივიწყებთ, რომ თუმცა იაპონელებს ებრძოდა დღემდე არა საუკეთესო ჩვენი ჯარი, მაინც იბრძოდა მშვენიერად და რუსთა მახვილის სახელი არ დაუმცირებია, რუსთა იარაღი არ შეურცხვენია. ამ ჯარმა, სულ ცოტა, ასი ათასამდე იაპონელს დაუღუპა ხელ-ფეხი სამოქმედოდ და ჩვენდა წინაამდეგ საომრად. საუკეთესო ჩვენი ჯარი ჯერ ხელუხლებელია. ჩვენი მოუმზადებლობა, ეჭვი არ არის, მცირდება, მხნეობა მატულობს ყველგან, ჩვენი ფინანსები წარბ-შეუხრელია. სხვა ხელის შემწყობი გარემოებაც გვაქვს. ყველაფერს არ უნდა თქმა, ხოლო უნდა გვრწამდეს სამშობლო და მისი ძალ-ღონე.

შემდეგ განაგრძობს ზემოხსენებული ავტორი:

რა ნაირიც უნდა იყოს ჩვენი წყლულნი, არ უნდა გვეშინოდეს, რომ თავს იჩინეს. ომი რენტგენის სხივებია. ძვალშიაც გვა ხოლმე და გვიჩვენებს დაგუბებულს ჩირქს. ეგ სხივებივე დაგვანახვებს სადს ხორცსაც და რუსეთის ეს სადი ხორცი დაჭვადავს სამხედრო ტალანტებს. გამოჩნდებიან გამოცდილებით გამოწრთობილნი ხელმძღვანელნი. ჯერ ცოტა დრო გავიდა და იმიტომ ტალანტები არ გამოჩენილა. არც ასპარეზი იყო მათის გამოჩენისათვის.

ჩვენ სულ ვიგერებდით მტერს და არა თავს ვესხმოდით. მერე ისიც სათქმელია, რომ ძრიელ მაგარ ქერქადა გვაქვს გარს შემოხვეული ქერქი უნიჭობისა, პროტექციისა, ნათლი-მამობისა. საუკეთესო კაცთაც კი გადაედოთ ასეთი ჭუჭყი. ზღვა უნდა იყოს ადამიანთა ცხოვრება, რომ მდვრიე, ტალახიანმა ნაკადულმა არა დაკლოს რა. წმინდა ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა დასწვავს ამ ჭუჭყიან ნაკადულსაც და ამოაბრწყინებს მზე, იქნებ ამ შემოდგომაზედვე.

დასასრულ, სუვორინი მიჰმართავს არისტოკრატიას დაბადებით და სიმდიდრით ასეთის მხურვალე მოწოდებით:

მაგალითი ყველას უნდა უჩვენონ იმათ, ვინც მაღლა სდგას და ყოველ სიკეთითა და მშვიდობიანის ცხოვრებით ნეტარებს. იმათ უნდა გასწირონ თავი და თავიანთი შეძლება, იმოქმედონ იმ გვარებით, რომელიც დირსებისამებრ მოუხვეჭნიათ. არისტოკრატია დაბადებით და სიმდიდრით გაჭირებაში იცნობება. და უმოვლესობაც ამისთანა დროს დაავსებს ამ არისტოკრატიას. არისტოკრატიაც, თუ მართლა შვენება აქვს არისტოკრატიისა, თუ დამოუკიდებელია, თუ თავმომწონეობის პატიოსნება უდგივის გულში, თუ გამბედავისა და გულახდილის სულისაა, თუ ანგარების მოყვარული არ არის, გულ-უხვია, შეუერთდება გონებისა, ტალანტისა და ქველობის არისტოკრატიას. ორივენი ერთმანერთს ხელს მისცემენ, ერთმანერთს დაეხმარებიან და უოველივე ესე გაიზრდება დიდ ძალად ერის თვალ-წინ და ერიც იტყვის, ეგენი ჩემი თვისნი და ტომნი არიან, რუსეთისთვის თავ-გამეტებულნი, მისნი მეოხნი და ბურჯნი, ღირსნი პატივის-ცემისა და ერის სიყვარულისაო.

## „ივერიის“ ფოსტა

**თხ. შ. თ—ლს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 სეკდემბერი.

**ჩიფუ,** 12 სეკდემბერი (რეიტერი). (განგრძობა). ამით გათავდა ბრძოლა 7 სეკდემბერსა. მეორე დღეს კიდევ ესროდენ ყუმბარებს რუსის პოზიციებს, განსაკუთრებით ფორტსა, რომელიც 3 ათას მეტრზეა იტშანიდგან და რომელიც ითვლება ძალიან საჭირო სიმაგრედ. იქნამდე ესროდენ ამ პოზიციას, სანამ სასროლმა მასალამ არ უსუსტა. მაშინ კი იაპონელები იერიშით წავიდენ, მაგრამ მედგარი წინაალმდეგობა გაუწიეს. თუმცა ტყვიის მფრქვეველებით ძალზე ესროდენ, მაგრამ მაინც იაპონელთ ყველა ხერხს მიჰმართეს, რომ მთის წვერზე გასულიყვნენ. ისინი ზედ ახტებოდნენ თხრილებსა, სჭრიდენ მავთულებსა და ამნაირად შევიდნენ ფორტში, მაგრამ რუსები მაინც წინაალმდეგობას უწევდენ, თუმცა მტერი ბევრით მეტი იყო. მედგარი ხელჩართული ბრძოლა იქნამდე გაგრძელდა, მანამ ყველა რუსები სულ არ დახოცეს ან არ დასჭრეს. ნდობის ღირსი ჩინელი, ვინც ეს ამბავი მოიტანა, სეკდემბრის 8 საღამოთი გამოსულა და ამიტომ არ იცის, 9 სეკდემბერს განახლდა ბრძოლა თუ არა. აქ მოსულმა ნავებმა მოიტანეს ამბავი, 9 სეკდემბერს სუსტი ბრძოლა იყო, მაგრამ დალნიდან მოსულმა გემმა კი დაამოწმა ის ხმა, რომ 11 სეკდემბერს დიდი ბრძოლა იყოო. სამხედრო საქმეთა მცოდნენი ფიქრობენ, თუ იაპონელებმა ერლუშანი ან იტშანი და ანშძუშანი აიღეს, მაშინ პორტ-არტურის ყოფა უიმედო შეიქნებაო.

**ჩიფუ,** 12 სეკდემბერი. (რეიტერი). დალნიდან მოსულმა გემმა ამბავი მოიტანა, უკანასკნელად იერიში დაიწყეს 6 სეკდემბერს და გასტანა 50 საათზე მეტი. აიღეს მხოლოდ 2—3 მეორე ხარისხოვანი სიმაგრეები ციგუანშანთან. რუსები სიმაგრეებიდან გამოდევნეს. ამბობენ, საშინელი ბრძოლა იყოო, მაგრამ რადგანაც იაპონელნი კარგად იყვნენ გამზადებულნი, იმათი ზარალი, თუმცა დიდი იყო, მაგრამ არა ისეთი, როგორც წინა იერიშების დროსაო.

**სან-ფრანცისკო,** (რეიტერი). აქ შეუნიშნავთ ნავსადგურისკენ მიმავალი გემი, ფიქრობენ ეს «კორეა» უნდა იყოს, რომელიც «ლენას» მისდევდა.

**ტოკიო,** (რეიტერი). მოვიდა პრინცი კარლ-ანტონ ჰოგენცოლერნი.

**ჩიფუ.** 12 სეკდემბერი (რეიტერი). ამბავი მოვიდა, რომ დღე და ღამ გაძლიერებული სროლაა ზარბაზნისა პორტ-არტურზე. რუსებმა ახალი ზარბაზნები დასდგეს ლიაოტეშანის კლდიან მაღლობზე და ისინიც ესვრიან იაპონელებსა.

**თიანძინი,** 11 სეკდემბერი (რეიტერი). ამ ბოლო დროს ლიაოიანს ათასობით მოდის ჯარი ყოველ დღე. 5 ათასი კაცი მოვიდა ინკოუდან ნავებით. რუსებს პორტ-არტურში ნახშირი აკლიათ და ეს ხელს უცარავს იმათა. ერთი გემი თიანძინში უყიდნიათ რუსებსა. როგორცა ფიქრობენ ამ გემს აზრად აქვს, გაბედოს და ალყა შემორტყმულს ციხეს ცინდაოდან ნახშირი მიუტანოს.

**ლონდონი,** (რეიტერი). «სტანდარტს» სწერენ კუროკის უმთავრეს სადგურიდან, 11 სეკდემბერს მტერი ჩვენს მარჯვენა ფრთისაკენ წამოვიდა, მაგრამ შესამჩნევი შეტაკება არ ყოფილა.

**ალექსანდრია,** (რეიტერი). რავდენიმე რუსის სავაჭრო გემი მოვიდა, მიდიან პორტ-საიდს, სადაც ეს გემები განკარგულებას მიიღებენ. საზღვს სუეციდან წაიღებენ.

**ვლადივოსტოკი,** 13 სეკდემბერი. ამ დღეებში ცაზე აღმოსავლეთისაკენ გამოჩნდა მთელის სიმშვენიერით იუპიტერი, მოქალაქეებს კი იაპონიის ჰაერის ბურთად მოეჩვენათ.—ადგილობრივმა მემამულემ ანდრეევმა თავის სახლი დაუთმო ფლოტის უფროსს აფიცრების ლაზარეთად. ყველა დაჭრილები რჩებიან და იწევენ საომრად. ცინდაოდან ამბავი მოვიდა, რომ «ცესარევიჩზე» დაჭრილნი გერმანიის საავადმყოფოებში მოუთავსებიათ და საუცხოვოთ თურმე უვლიან. ყველა მსუბუქად არის დაჭრილი.

**ადესსა.** დაიწყო გაგზავნა კერძო საქონლისა ციმბირის რკინის გზით.

**პეტერბურგი.** მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი. ვაგზალზე დაუხვდა თვისი თანაშემწე დურნოვო. მინისტრი ესაუბრა ყველას და შემდეგ წამოვიდა ვაგზლიდან.

**ტოკიო.** (რეიტერი). ხალხი ომის ამბებმა გამოაფხიზლა. ბრძოლის საქმეებს უფრო სერიოზულად დაუწყეს ცქერა. პორტ-არტურის ალყის გაგრძელებამ, ზიანმა და კუროპატკინის მშვიდობიანად დახევამ ხალხი ჩააფიქრა და დაანახვა, რამოდენა საზრუნი აქვს ერსა, გაუფანტა იმედი ომის ჩქარა გათავებისა და ცხადჰყო, რომ აუცილებელია ხანგრძლივი და მძიმე ომი. საომარი მასალის და ფულის ქონება მაინც უმტკიცებს ხალხს რწმუნებას, რომ იაპონიას დაუყონებლივ შეუძლიან განაგრძოს ბრძოლა მომავალის წლის გამავლობაშიაც.

**ლისაბონი.** (რეიტერი). როგორც «ლოიდი» იუწყება, ლისაბონის ნავსადგურიდგან გაშლილ ზღვაზე შენიშნეს რუსის კერძო ფლოტის გემი.

**ტოკიო,** 11 სეკდემბერი. (ბერლინით). ხმაა, რომ მინისტრთა კაბინეტის კრებაზე, 8 სეკდემბერს, მთავრობას ჰქონდა ბაასი ფულის შოვნის შესახებ. მომავალ წლისათვის უნდა შემოიღონ მარილის მონოპოლია და ხარჯი აბრეშუმზე.

**თავრიზი.** აქ გამოგზავნილმა ექიმებმა დაამტკიცეს, რომ ქალაქში რამდენიმე შემთხვევა ყოფილა ხოლერის ავადმყოფობისა.

**მოსკოვი.** ქალაქის კასაში ავადმყოფთა და დაჭრილთათვის 306 ათასი მანეთია. ამ ფულში ნივთებიც უნდა ვიანგარიშოთ.

**ბერლინი** (საკ. კორესპ.) «სტანდარტ»-ის კორესპონდენტი, რომელიც იაპონიის პირველს ლაშქარშია, ამბობს, საეჭვოა, დაიწყებენ ბრძოლის განახლებას თუ ვერა. რუსები სიმაგრეებს აკეთებენ ჩრდილოეთად მუკდენიდან. იმათ ლაშქარს ორი კორპუსი მიემატა.

**მუკდენი.** (ბერლინით). როგორც ხმაა, იაპონელებს ავადმყოფობა დაერია და ამიტომ შეუგვიანდათ წინწაწევა. თუნდ პორტ-არტურიც აიღონ, თვეები გავა, მინამ იქიდან ჯარები მოეშველებოდნენ.

**ლონდონი,** 13 სეკდემბერი (რეიტერი). «ლოიდი» იუწყება, ლისაბონთან ნანახი რუსის გემი «თერგი» გამოდგაო.

**ვაშინგტონი** რუზველტის განზრახვა, მოჰხდეს ჰააგის კონფერენცია, მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ წინადადება მისცა სახელმწიფო დეპარტამენტს, შეეკითხოს სხვა სახელმწიფოებსა შესახებ იმისა, თუ რა დროს ᲓᲐ სად სურთ იყოს კონფერენცია. როცა პასუხი მოუვათ, მაშინ რეზველტი დანიშნავს კონფერენციას. ნამდვილ წყაროდან შეიტყეს, რომ რეზველტი რუს-იაპონიის ომის გათავებას არ მოუცდის და კონფერენციას 1905 წ. დასაწყისში მოიწვევს.

**ჩიფუ.** (რეიტერი). დღეს პორტ-არტურიდან ცნობები არ არის, რადგან მტკიცე ალყა არტყია. მაგრამ მაინც ვიცით, რომ საშინელი ბრძოლაა. აქ რუსები სწუხან, მაგრამ რაკი ესკადრა არ გავიდა ნავსადგურიდან, ფიქრობენ, რომ საქმე კარგად არისო და სრულიად ენდობიან ახალს ადმირალს, რომელსაც ნაბძანები აქვს წავიდეს ვლადივოსტოკს, როცა კი მოახერხებს, ან დაიღუპნონ. იმ კვირაში მონგოლეთის საზღვრით გამოიტანეს 500 ათასი გირვანქა სტერლინგი, რუსის ხაზინის კუთვნილი. იწერებიან, რომ რუსის სამხედრო ინჟინრები ამაგრებენ ადგილებს ფაკუმენთან ლიაოხეს მარჯვენა ნაპირზე. იაპონიის საკონსულო უარჰყოფს რუსებისაგან გავრცელებულს ხმას, ვითომ პორტ-არტურის იერიში დაიწყოო. აგვისტოში გადაღებული პორტ-არტურის სურათები, რომელიც ჩიფუს გაგზავნეს, გვიჩვენებს, რომ ნახშირის საწყობები «ვეფხის კუდთან» მთლიანად არის. ბევრი სახლი გადარჩა დაზიანებასა.

**ლიაოიანი.** (რეიტერი). იანთაის მაღნების მაშინები რუსებმა დაამტვრიეს. იაპონელებმა ახალი გამოიწერეს. იმედი აქვთ, რომ სიარული მატარებლებისა ლიაოიანიდან ნოემბერში დაიწყება. ამბობენ, თელინიდან უკან დაწევა შეაყენეს რუსებმაო. დიდი ჯარები გროვდება.

**შანჰაი.** (რეიტერი). მუკდენიდან იუწყებიან, ფაუმენით გამოიტანეს ოთხი მილიონი ფული თელინიდან და სალიაპიალოში მიაქვთ. ამ ფულით უნდა მოისყიდონ მონგოლეთის პრინცებიო.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის სახაროვისა უმთავრეს შტაბში 13 სეკდემბრის თარიღით: „12 სეკდემბერს მტრის ერთმა ბატალიონმა და ორმა ესკადრონმა წინ წამოიწიეს, უეჭველია, დასაზვერად. წინ წამოწევა ჩვენმა ჯარებმა შეაყენეს. მტერმა ყველა ადგილებიდან დაიწია, ჩვენი ცხენოსანნი დაედევნენ დავანის ჩრდილოეთად. მტერი ლიაოხეს მარცხენა ნაპირზე ჯერ ისე არ გაძლიერებულა, მაგრამ იანთაის მიდამოებში კი ძლიერდება და იმათი ცხენოსანი ჯარი გაჩნდა მდინარე პუხეს ხეობაში“.

**ტოკიო,** 14 სეკდემბერი (რეიტერი). უკანასკნელნი სასტატისტიკო ცნობანი ცხად ჰყოფს, რომ საფინანსო მდგომარეობა იაპონიისა ურიგო არ არის. რაოდენობა ქაღალდის ფულისა, რომელიც მუშაობდა 18 აგვისტომდე 21 მილიონიენით აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც იყო მუშაობაში 18 აგვისტოს 1903 წელს. მათშორის 19 მილიონი მანჯურიასა და კორეიაში მუშაობს. ოქრო-ვერცხლის ფულის ტრიალმა იკლო მხოლოდ 8 მილიონით. სათადარიგო თანხამ იმატა 2 მილიონით. ბანკების სტატისტიკა იძლევა ცნობას საკომერციო-სამრეწველო მოქმედებისას. საფოსტო შემნახველ კასებში შესანახად შეტანილმა იმატა 4 მილიონით; ტოკიოს ბანკებში შეტანილმა 21 მილიონით. ამ წლის პირველ 8 თვეში უცხოეთის ვაჭრობამ იმატა და ნამატმა 20 მილიონით გადააჭარბა ნორმას. ბრინჯის და სხვა ნათესის მოსავალს კარგი პირი უჩანს. სამხედრო ხარჯისათვის გადადებულიდან $70^1/_2$ მილიონი თვით ქვეყანაშივე დატრიალდა.

**პარიჟი,** 14 სეკდემბერს, (სპეციალური) «ტანის» ლიაოიანელ კორესპონდენტის დაბეჭდილი წერილი ჰმოწმობს, რომ რუსეთის წითელ ჯვრის საზოგადოების დაწყობილება სანაქებოა. საზოგადოება მოქმედობს საუკეთესოდაო. დელეგატები, მკურნალნი და დანი სათნოებისანი უმაღლესის ქების ღირსნი არიანო.

**ხარბინი,** 14 სეკდემბერი. უკანასკნელ დღეებში ომის ველზედ ცვლილება არა მომხდარა-რა. მტერი წინ არ მოიწევს. სახალინიდან ამბავი მოვიდა, რომ ვითომ ანივას კონცხისაკენ 12 სეკდემბერს ღამე გარკვევით ისმოდა ზარბაზნების სროლა. ცხადად სჩანდა ფალიას აფეთქება ყოველ გასროლის დროს. ისე ეტყობა, თითქო ზღვაზედ იყო ომიო.

**ბათუმი,** 14 სეკდემბერს. კერძო ფლოტის გემმა „სარატოვმა“ დაიწყო წაყვანა სათადარიგო ჯარის კაცეისა კავკასიის სამხედრო ოლქიდან.

**მუკდენი,** 13 სეკდემბერს. იაპონელები გავიდნენ ხუნხეში 75 ვერსის მანძილზედ მუკდენიდან. ახლა ცხადად ემჩნევა, რომ იაპონელები აღმოსავლეთისკენ მიდიან უმთავრესის ჯარითა.

15 სეკდემბერი

**შანჰაი,** 14 სეკდ. (რეიტ.) რუსეთის ჯარები ჩრდილო-კორეიაში სამხრეთად მიიწევენ.

**ჩიფუ,** 14 სეკდ. (რეიტ.) მოვიდა ნავი რუსის ქალითა და ბავშვით. რამდენიმე ჩინელნი ახლდნენ, ნავი წამოსულა პორტ-არტურიდან 13 სეკდემბერს შუაღამისას. 7 სეკდემბრიდან იქ გამუდმებული ბრძოლააო, მეციხოვნეთ ბევრი მოკლული და დაჭრილი ჰყავთ. მოსულნი იმ აზრისანი, არიან, რომ ციხეს მალე აიღებენ.

**ნიუ-ჩუანი,** 14 სეკდ. (რეიტ.) ლიაოიანიდგან მოსულ უკანასკნელ ცნობით, რუსთა ცხენოსანი ჯარი ზვერავს ადგილებს. არტილერია სდგას მაღლობ ადგილებზედ მუკდენს ახლო. «დეილი-მელი» უარ-ჰყოფს ლიაოიანის გაძარცვის ამბავს, აგრეთვე იმ ამბავს, ვითომ იაპონელნი კადრულობდნენ მკვდართა შეგინებასაო. ამ გაზეთის კორესპონდენტი, რომელიც კუროკის ლაშქარშია, ამბობს, რომ, სიმართლეს თუ ვიტყვით, ვერც რუსთა და ვერც იაპონელთა ლაშქარს ვერ დავაბრალებთ, ვითომ მათი ჯარები ურიგოდ იქცეოდნენ. ორნივე მებრძოლნი ომობენ და თან ისეთს კაცთ-მოყვარეობას იჩენენ, რომ სწორედ მაგალითი არ ყოფილა ისტორიაში. ორივ მებრძოლთა ქცევა დაჭრილთა და დატყვევებულთა მიმართ ისეთია, რომ პატივისცემას იწვევს მტრისადმი. ადგილობრივ მცხოვრებთაც კეთილად ეკიდებიან.

**შანჰაი,** 14 სეკდ. (რეიტ.). შანდუნის პროვინციიდან იუწყებიან, რომ ბოქსერები (მოკრივენი) ისეთსავე პროკლამაციებს ავრცელებენ ცხადად და დაუფარავად, როგორც 1900 წლის აჯანყების წინადაო. ამ მოწოდების ფურცლებში უცხოელთა ამოჟლეტის ვადად დადებულია 4 ოკტომბერი.

**ჩიფუ,** 14 სეკდ. (რეიტ.). გუშინ საღამოს შეიპყრეს იაპონელებმა ნავი, რომელშიაც რუსი იყო თავის ცოლით და ორის შვილით. რა უყვეს იმ რუსებსა, ვერ გავიგეთ, მოიტანა ამბავი მეორე ნავმა.

**სტამბოლი,** 14 სეკდ. (რეიტ.). კერძო ფლოტის გემი «ნიჟნი-ნოვგოროდი» მოვიდა ბოსფორის სრუტეში უიარაღოდ. წავა პორტ-საიდს და იქ დაუწყებს ლოდინს ინსტრუქციებს.

**ლონდონი.** 14 სეკდ. (რეიტ.). კორესპონდენტი რეიტერის სააგენტოსი, რომელიც რუსეთის მთავარ ბინაზეა მუკდენში, იუწყება პეკინიდან, დასავლეთად დაზვერვა ამტკიცებს, რომ იაპონელნი ეპირებიან თავს დაესხან რუსებს აღმოსავლეთისკენაო. საქმეთა ვითარება ჯერ უცვლელია.

---

ამოსვლისას გავსრიალდეთ ქალაკისკენ და ერთის კვირის შემდეგ მჟავე წყლებზედ ამოვყოფთ თავს.

**კატო.** შენ კარგად მყავდე, ისა და მისი ეჭვები მე მომანდე. განა არ იცი, რომ ეს თორმეტი წელიწადი მისი ჰიპნოტიზიორში ვარ?!...

**ლუარს.** მაშ, აგრე. (ჰკოცნის და მიდის).

**კატო.** (გაიწევს სცენის სიღრმისკენ და ეძახის). მოურავო! ახმედ! მალხაზა! ალექსი! (გაჯავრებული). მელანო, მართა, ბიჭებო!

გამოსვლა მეორე.

(შემოირბენს ნიკო დაქია).

**კატო.** სად ეშმაკებში დაძვრებით, თქვე ვირებო! სად არიან სხვები?

**ნიკო.** რასა ბრძანებთ კნეინა, ნუ თუ თქვენ არაფერი არ იცით?

**კატო.** რა უნდა ვიცოდე?

**ნიკო.** ისა, ბატონო, რომ კნიაზმა სამხრობისას ყველა დაითხოვა, დაწყობილი მოურავიდგან მრეცხავ მართამდე.

**კატო.** ხომ არ შეიშალე, ბიჭო?

**ნიკო.** ღმერთს გეფიცებით, მართალს მოგახსენებთ. განა, ბატონო, ისიც არ იცით, რომ რაც საქონელი გებადათ, სულ მინდვრად გაარეკინა მგლების საკვებად?

**კატო.** რას როშავ, მხეცო! რეები მესმის? მერე და მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარ?

**ნიკო.** კნეინა, ნუ კი გამიჯავრდებით და ასე მოგახსენებენ, კნიაზი გაგიჟდაო. (კატო ოდნავ შეკრთება, მაგრამ უეცრივ გასწორდება) დღეს დილით ნინიკაანთ გიგოლას ენახა, სასაფლაოზედ სტიროდაო. შუადღისას ჯონჯოლაძეს შეენიშნა, ხელ-ფეხიან მუხის ძირში იჯდა დაღონებულიო.

**კატო.** ნიკა, გასწი ამ საათში და ლუკა სუთიძეს დამიძახე.

**ნიკო.** ბატონი ბრძანდები, შენი ჭირიმე.

**კატო.** სადაც უნდა იყოს, მონახე გესმის? უსიკვდილოდ მონახე, მაგ ერთგულობისათვის ერთი-ორად დაგასაჩუქრებ.

**ნიკო.** (მიდის, გაიხედავს სამხრეთ-დასავლეთის მხრივ, შეკრთება და მოტრიალდება კნეინასკენ). კნიაზი მობრძანდება, ბატონო. წმიდა გიორგი, რა საშიშარი სანახავია!... (მირბის ზემოდ. ამის გაგონებაზედ კნეინა ერთს შედგება აღელვებული, მაგრამ მალე ღონეს მოიკრებს და გაემართება ქრმის მისაგებებლად).

ტრ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

**ლიაოდუნის ნახევარ-კუნძული**, 13 სეკდ. (რეიტ.). რუსნი უფრთხილდებიან ტყვია-წამალსა და ყუმბარებს, რაკი ახლოვდება დრო უკანასკნელად იერიშის მოტანისა. ამ რამდენსამე დღეში სროლა ყუმბარებისა შესუსტდა. იაპონელებმა კვლავ შეუთვალეს გენერალ სტესელს დაგვნებდიო, გამოვიდეს ციხიდან სამხედრო პატივით მეციხოვნეთა რაზმიო, ხოლო ესკადრა არტურისა-კი ჩვენ დაგვრჩესო. გენერალმა სტესელმა გადაწყვეტილი უარი შეუთვალა, არ დაგნებდებითო და თან დაემუქრა, დავხვრეტავ თოფებით ყველას, ვინც ასეთის მოციქულობით მოვა კიდევაო. მეციხოვნენი გმირულად ეწინაალმდეგებიან. ღამ-ღამობით რუსნი სანგრებს აკეთებენ, რათა დააბრკოლონ იაპონელთა ზედ-მოსევა აღმოსავლეთის მხრივ. დღისით იაპონელები ისევ ანგრევენ ამ სანგრებს. რუსნი იმ ღამესვე კვლავ აკეთებენ და ამაგრებენ. ყუმბარებს განუწყვეტლივ ესვრიან პორტ არტურს. ამ ჟამად იაპონელნი დაჟინებით უშენენ ზარბაზნებს უმთავრეს სიმაგრეებს აღმოსავლეთად იმ აზრით, რომ გაარღვიონ სადმე კედელი იერიშის მისატანად. ზოგ ალაგას იაპონელმა საპიორებმა ხვრელი გაიყვანეს რამდენისამე მეტრის მანძილზედ, მაგრამ მაინც ახლო ვერ მისულან, რადგან რუსნი გაჰშირებით ისვრიან თოფებს. ღამე პორტ-არტურში გაისმის რუსთა საერო საგალობლის სიმღერა. მეციხოვნენი სიმღერით მიდიან სიმაგრეებზედ. იაპონელნი პასუხს აძლევენ მით, რომ ჰყვირიან „ბანზაის" და პატრიოტულ საგალობლებს ამბობენ სიმღერითა.

**შანჰაი**, 14 სეკდ. (რეიტ.). გარეშე საქმეთა სამინისტრო ჩინეთისა გადაწყვეტით უარ-ჰყოფს იმ ხმას, ვითომ პროტესტი გამოეცხადებინოს ინგლის-თიბეთის ხელ-შეკრულობის წინააღმდეგ.

**პეტერბურგი**. უქვეშევრდომ. დეპეშა გენ.-ად. კუროპატკინისა: რკინის გზის აღმოსავლეთად იაპონელთა მოწინავენი ისევ თავიანთ ალაგას სდგანან. წინ იწევენ მხოლოდ პატარ-პატარა რაზმები და მერე ისევ უკან მიდიან, როცა ჩვენი მოწინავე სახელოვანი ჯარი შეუტევს. დარაჯთა რაზმმა წაართვა იაპონელებს საქონელი და დასჭრა ერთი იაპონელი ცხენოსანი. მედროშე მიხეევმა და ურალის ყაზახებმა 13 სეკდემბერს ღამე მოახერხეს თავს დასცემოდნენ იაპონელთა ბანაკს და ერთი ალიაქოთი აეტეხნათ. 11 სეკდემბერს ერთი რაზმი ორენბურგელ ყაზახთა ჩაუვარდა იაპონიის ნახევარ-ესკადრონს. შეიქმნა თოფების მოულოდნელი ხათქა-ხუთქი. იაპონელნი დაზარალდნენ და საჩქაროზედ უკან დაიწიეს. რამდენიმე მოკლული ჯარის კაცი ვეღარ წაიღეს. ყაზახებმა მტრის რამდენიმე ცხენი შეიპყრეს. ყოველსავე ამის უქვეშევრდომილესად მოგახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

10 სეკდემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,83 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | $45,92^1/_2$ |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | $37,32^1/_2$ |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,55 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში „ . . . . . . . | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | $6—7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | $91^3/_4$ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | $88^5/_8$ მშვ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ.-ბილ. 1864 წ. | 384 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | $300^1/_4$ ნ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 254 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | 85 წვ. გაყ. |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | $89^1/_4$ წვ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | $86^3/_4$ წვ. გაყ. |

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა**.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** :საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

# განცხადებანი

---

### ქუთაისში
**ს. ბ. თოფურიას**
## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მხთის უმაღლესობის ზრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

## „ცოდნა"-ს
### წიგნის მაღაზიაში
ისყიდება:

| | |
|---|---|
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. . . . | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა . | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით . . . . | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა . . . | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . . | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული . . . | 50 გ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა. . . | 2 მ. 50 კ. |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად. . . | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| ბაში აჩუკი აკაკისა . . . . . . | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა . . . . . . | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) . . . | 5 კ. |
| დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი, რომ. | 5 კ. |
| ოქროუა (ხალხური ზღაპარი) . . . | 5 კ. |
| სამი ზღაპარი . . . . . . . . | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი . . . . | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით . . . . . . | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი . . . | 1—50 კ. |
| » » » პატარა. . . » | 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა . . . . | 1— ,, |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა . . . | ,,—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად . . . . | ,,—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები . . . | ,,—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . . | ,,—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა . . . . | 1—,, ,, |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. . . . | 1—,, ,, |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი . . | 1—,, ,, |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9— ,, ,, |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით . | 3— ,, ,, |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტანიკ. | „—60 კ. |
| ანტონ კათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა | 1— ,, კ |
| ვახუშტის გეოგრაფია . . . . . | 2— ,, ,, |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ | ,,—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | ,,—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ კათალიკოზისა. | 2—,, ,, |
| დავით გურამიშვილი . . . . . . | 1— ,, ,, |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. . | 1—80 ,, |
| Вступл. Грузіи въ сос. Рос. Имп. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ . „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა . | 1—,, ,, |
| ამირან-დარეჯანიანი . . . . . . . | 1—,, ,, |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის . | 1— ,, ,, |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. . . | ,,—40 კ. |

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასა. . | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თით.ო. | ,,—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე**.

---




---

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა.

ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

---

# საკომერციო კურსები
### ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევსა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—21)

---

# ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 6-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

**ადრესი**: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(14—266—14). ალ. გ. საათაშვილი.

---

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

# კ ა ლ ო შ ე ბ ი ს ა
**და რეზინის სხვა საქონლისათვის**
## უდიდესი ჯილდო
(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
# რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
**ს.-პეტერბურგში**,
დაარსებულს **1860** წელს.



**რეზინის კალოშების** ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ" (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

## „ლეოპოლდ ნიეშელლერი"

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისსა** და ტაშკენტში.

(60—49).